პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნიზმის სხივი

1990
25 იანვარი
ხუთშაბათი
№11 (6238)
ფასი 8 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУПИЗМИС СХИВИ орган Цагерского райко ма КП Грузии и райсовета народных депутатов

### გაზაფხული შორს როდია

## ტექნიკის რემონტზე არ ვზრუნავთ

დღეს ყველა ჭეშმარიტი ქართველის, თითოეული საწარმოსა თუ სამეურნეო ერთეულის უპირველესი მოვალეობაა ზრუნვა ეროვნული ეკონომიკის გაძლიერება-განმტკიცებისათვის, რაშიც თავიანთი წვლილი რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც უნდა შეიტანონ.

მოგეხსენებათ, რაიონის რთული რელიეფურ-კლიმატური პირობების გამო გლეხკაცის შრომა ჩვენთან გაძნელებულია, გაძნელებულია ასევე ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობაც. დღევანდელ პირობებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამართული მუშაობაა ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა და საფუძველი შრომის შემსუბუქების, უკეთესი საბოლოო შედეგის მიღწევის.

როგორც ვთქვით, სწორედ რელიეფური და ნიადაგური პირობების გამოა, რომ ამა თუ იმ კვანძისა და დეტალის მწყობრიდან ნაადრევად გამოსვლის გამო ჩვენთან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შეფერხებებით მუშაობს. სათადარიგო ნაწილების უკმარისობის გამო მათი ოპერატიული შეკეთებაც გაძნელებულია და სწორედ მაშინ, როცა საგაზაფხულო ხვნა-თესვის პერიოდია, ადგილი აქვს დაბრკოლებებსა და საქმის გაჭიანურებას.

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს ახლა საკმაო დრო აქვთ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ტრაქტორებისა და სხვა საჭირო მანქანა-იარაღების შერემონტება-შეკეთებისათვის, მაგრამ აგერ უკვე ორ თვეზე მეტი გავიდა, რაც სარემონტო პერიოდი დაიწყო და საზოგადოებრივი მეურნეობებიდან ჯერჯერობით არც ერთი განაცხადი შემოსული არაა საჭირო რემონტისა თუ სათადარიგო ნაწილების შეძენის თაობაზე. გამოდის თითქოს ყველაფერი წესრიგში იყოს. მართალია, რაიონის თითქმის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში სატრაქტორო პარკი განახლებულია, მაგრამ ადგილზე შემოწმებით ვლინდება, რომ ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაშია შესაკეთებელი ტრაქტორი თუ გუთანი.

გასათვალისწინებელია, რომ ახლა, ზამთრის დღეებში, ცაგერის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს მეტი დრო და საშუალება აქვს ტრაქტორების საგულდაგულო რემონტისათვის და გამოირიცხება სიჩქარე, უხარისხობა. ამის მიუხედავად, ჯერჯერობით არც არავინ „გვაწუხებს" და არც არავინ იწუხებს თავს.

მიმდინარე წელს აგროსამრეწველო გაერთიანების მიზანია მინიმუმამდე შეამციროს ახალი ტრაქტორებისა და სხვა მანქანა-იარაღების შემოზიდვა, რამდენადაც ეს გარკვეულ ფინანსებთანაა დაკავშირებული, ტექნიკა ყველა საზოგადოებრივ მეურნეობას საკმაო რაოდენობით ჰყავს. ამასთან მეწყრული მოვლენების გამო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება. ასე რომ, ჩვენი ამოცანაა მაქსიმალურად გამოვიყენოთ და დავტვირთოთ რაიონის სოფლის მეურნეობაში თავმოყრილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, და მათი დროული შეკეთება და მომზადება ახლა ყველაზე მთავარია.

მიმდინარე წლის 1 მარტისათვის მოეწყობა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის სასოფლო სამეურნეო ტექნიკის რესპუბლიკური დათვალიერება-შემოწმება. დრო სწრაფად გადის, თუ დარჩენილ პერიოდს მაქსიმალურად გამოვიყენებთ, ერთმანეთს მხარში ამოვუდგებით, მეტ მონდომებასა და პასუხისმგებლობას გამოვიჩენთ, არის ზრული გარანტია იმისა, რომ მიმდინარე წლის საგაზაფხულო ხვნა-თესვაზე 50 სახნავმა ტრაქტორმა იმუშაოს. ამჟამად რესპუბლიკაში და ჩვენს რაიონშიც მზადებაა გლეხურ მეურნეობაზე გადასასვლელად. იმას თუ როგორ განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-პატრონობის, შენახვა-რემონტის, სათადარიგო ნაწილებითა და საწვავით მომარაგების, მექანიზატორთა შრომის ანაზღაურებისა და სხვა აუცილებელი საკითხების მოგვარება, დიდი მნიშვნელობა აქვს.

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში დღეისათვის სულ 15 სახნავი ტრაქტორია გასარემონტებელი. ყველამ, ვისაც კი ეს ეხება, ეფექტურად უნდა გამოიყენოს რეზერვი და შესაძლებლობა, რომ მტკიცე საფუძველი შეუქმნას მიმდინარე წლის მოსავალს. ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ შრომა შევუმსუბუქოთ ლეჩხუმელ გლეხკაცს, გავაუმჯობესოთ მისი შრომის პირობები.

**ბ. ხეცურიანი,**
აგროსამრეწველო გაერთიანების მექანიზაციის განყოფილების უფროსი.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

22 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელების მონაწილეობით. განიხილეს რესპუბლიკის ვითარების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები, ამიერკავკასიის მეზობელ რესპუბლიკებში სიტუაციის მკვეთრი გამწვავების პირობებში მუშაობის ნორმალური რიტმის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელები იზიარებენ ბაქოში, აზერბაიჯანისა და სომხეთის მთელ რიგ სხვა დასახლებულ პუნქტებში ბოლო დროს მომხდარი ტრაგიკული მოვლენებით გამოწვეულ ტკივილს, წუხან, რომ ყოველივე ამას მოყვა მსხვერპლი. თანაგრძნობის საუკეთესო ფორმა უნდა გახდეს ახლა რესპუბლიკაში წესრიგისა და სამოქალაქო სიმშვიდის დაცვა, მთელი სახალხო სამეურნეო კომპლექსის, სატრანსპორტო სისტემების შეთანხმებული მუშაობა, ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

უაღრესად საჭიროა, არ დავუშვათ რომ გავრცელდეს სხვადასხვა ხმები, რომლებიც ამახინჯებენ მეზობელ რესპუბლიკებში არსებულ რეალურ ვითარებას, დროულად ვაცნობოთ ადამიანებს, მოსახლეობას, განსაკუთრებით იმათ, ვინც არცოდნის, ან სხვა პროვოკაციული მიზნებით ცდილობს დათესოს უსაფუძვლო ეჭვი და ვარაუდი, ნებსით თუ უნებლიეთ ამძაფრებს ვითარებას. რესპუბლიკის ხელმძღვანელობას აქვს ზუსტი და ობიექტური ინფორმაცია ამიერკავკასიის რეგიონში საქმის ვითარების შესახებ, განუწყვეტელი კავშირი აქვს საკავშირო ორგანოებთან, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების ხელმძღვანელობასთან. ამასთან დაკავშირებით დასახულია ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ საინფორმაციო და ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაძლიერების დამატებითი ამოცანები, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთის, შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებში, თბილისში.

ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს, უპირველეს ყოვლისა, რესპუბლიკის მოსახლეობის, იმ საწარმოებისა და დაწესებულებების ენერგო და გაზმომარაგება, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანების უპირველეს საარსებო საჭიროებებს. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა კვლავ უაღრესად რთულია, აღინიშნა თათბირზე. მთავრობის საგანგებო პროგრამა ამ მიმართულებით განუხრელად უნდა განახორციელოს ყველა აღმასრულებელმა ორგანომ.

თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები რესპუბლიკის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ, რომელსაც უახლოეს დროში გადამწყვეტი სტადია დაუდგება. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტორგანიზაციის მტკიცე გადაწყვეტილებას, საარჩევნო ბრძოლა წარმართოს ნამდვილი გულახდილობის, პატიოსანი შეჯიბრების პირობებში, წინასწარ დაუგეგმავად, ადეკვატურად უნდა გამოეხმაურონ კანდიდატები, რომლებსაც ასახელებენ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. პარტიული, საბჭოთა ორგანოების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ამოცანაა საარჩევნო კამპანიის სტრატეგია, საკადრო და საინფორმაციო პოლიტიკა აგონ საზოგადოებრივი აზრის, ნამდვილად სახალხო, საქმიანი, მაღალი ეროვნული მიზნების რეალური განხორციელების უნარის მქონე, მომუშავე პარლამენტის შექმნის გრძელვადიანი ამოცანების გათვალისწინებით.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ღრმად უნდა გააანალიზონ კამპანიის მიმდინარეობა, კანდიდატთა საარჩევნო პროგრამები, არ შექმნან მიკერძოებული დამოკიდებულება ნებისმიერი მათგანისადმი, ვინც გადაწყვიტა ჩაება საარჩევნო ბრძოლაში. არა თანამდებობრივი სტატუსი, არამედ კომპეტენტურობა, საუკეთესო საქმიანი და ზნეობრივი თვისებები—აი კანდიდატთა შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ ამომრჩევლებმა, და, მაშასადამე, ჟურნალისტებმა, რომლებიც აშუქებენ რესპუბლიკის საარჩევნო კამპანიას.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.**

### თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის შესახვედრად

## არის თუ არა იჯარა ხელსაყრელი?

კოლექტიურ შრომას მიღებული მოსავლის სწორად აღრიცხვას და განაწილებას ჯერ კიდევ 1963 წელს გამოეცალა საფუძველი ორბელის კოლმეურნეობაში, როცა ზემდგომი ორგანოების დავალებით იძულებით გაგვაპიროვნებინეს მიწის ნაკვეთები კოლმეურნეებზე. აღნიშნული მეთოდით 1988 წლამდე ვიმუშავეთ, ხოლო 1988 წელს (მაშინაც ზემდგომი ორგანოების დავალებით) გადავედით მუშაობის ახალ ფორმაზე, რასაც საიჯარო შრომა დაერქვა. იგი საბოლოო შედეგით შრომის ანაზღაურებას გულისხმობს. მისი მიზანი იყო და არის მიწისა და სხვა საწარმოომატერიალურ საშუალებათა ეფექტიანი გამოყენება, პროდუქციის წარმოების მკვეთრი გადიდება. მაგრამ, სამწუხაროდ, კოლმეურნეების უმრავლესობას ავიწყდება, რომ ყველაფრის სათავე დისციპლინა და წესრიგია, მხოლოდ ესაა საფუძველი კეთილსინდისიერი შრომისა. ნაცვლად ამისა შრომის ორგანიზაციის ამ ახალი ფორმის შემოღებისას სრულიად გამოირიცხა ზნეობრივი ასპექტები და სიახლისადმი მხარდაჭერისა და ავტორიტეტის ამაღლების ნაცვლად, პირიქით მოხდა, შედეგმაც არ დააყოვნა.

იჯარული მეთოდით მუშაობისას ყველა სახის დანახარჯებს მოიჯარე იხდის და მაინც საკმაო მოგება რჩება.

საიჯარო შრომის შემოღების პირველსავე წელს, იჯარაში 290 ოჯახი ჩაება. დროულად გაფორმდა ხელშეკრულებები, თითქმის ყველა მოიჯარემ კეთილსინდისიერად შეასრულა სახელშეკრულებო ვალდებულება. მაგრამ ასე ვეღარ ვიტყვით 1989 წელზე. კოლმეურნეობის მშრომლები მოიცვა აზრმა კოლმეურნეობების დაშლის შესახებ, რის შედეგადაც 290 ოჯახიდან საიჯარო ხელშეკრულება დაარღვია 170-მა, ბევრმა მათგანმა სიმინდის მოსავალთან ერთად ყურძნის მოსავალიც კი მიითვისა. გასულ წელს სახელმწიფოს ნაცვლად გეგმური 220 ტონისა 61 ტონა ყურძენი მივყიდეთ.

ამბობენ, მიწა გლეხს უნდა დაუბრუნდეს, იგი უნდა გახდეს მისი ბატონ-პატრონი. ძალიან კარგი, მაგრამ სადღა გვყავს გლეხი? გლეხურ მეურნეობას სოფლად საპენსიო და ასაკგადაცილებული კოლმეურნეები უნარჩუნებენ სულს. ისინი კი, ვინც მიტინგებსა და სხვა სახის შეკრებებზე გაჰყვირიან კოლმეურნეობების გაუქმებას. არც ერთი არაა მიწის მუშა, აი, ესაა ჩვენი უბედურება.

ჩემის აზრით, ყოველ ახალ წამოწყებას წინასწარი გააზრება— ძალების აწონ-დაწონვა, კარგად გარკვევა უნდა და სანამ ფეხს მოიკიდებდეს, მას საფუძვლად დისციპლინა და წესრიგი უნდა დაედოს. წინაალმდეგ შემთხვევაში პროგრესზე ლაპარაკი ზედმეტია. უდისციპლინობამ, კანონის არქონობამ და გლეხთა გაორებამ გამოიწვია ის, რომ გასულ წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მატების ნაცვლად კლებაა თითქმის ყველა სახეში.

მიუხედავად იმისა, როგორც სოფლის მეურნეობის გამოცდილი სპეციალისტი, მაინც ოპტიმისტური განწყობილებით ვუყურებ მომავალს და იმედი მაქვს მოფიქრებული იქნება სოფლად მუშაობის ისეთი ფორმა, რომელიც გამოიწვევს შრომით ენთუზიაზმს და საქმეც უკეთესად წარიმართება.

**გ. გზოგაავა,**
ორბელის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი.

# საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომში

**საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის ბიურომ მოისმინა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაფართოების მიზნით ცაგერის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსის გ. მუშკუდიანის ანგარიში.**

აღინიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის გაწეულ საქმიანობას ერთგვარი წინსვლის ტენდენცია ახასიათებს.

რაიონის ტერიტორიაზე გაიხსნა მომსახურების ისეთი ახალი ობიექტები, როგორიცაა მანქანების შალითების კერვისა და საოქრომჭედლო საამქროები. გაიხსნა ფეხსაცმლის შეკეთების ორი ახალი ტიპური სახელოსნო, სოფელ ჩხუტელში—მაგთულბადის ქსოვისა და საზეინკლო საამქროები.

სისტემაში სტაბილური გახდა გეგმების შესრულება. გასულ წელს მოსახლეობას გაეწია 550 ათასი მანეთის მომსახურება გეგმური 544 ათასის ნაცვლად.

ყურადღება დაეთმო კოოპერატივების ქსელის შემდგომ განვითარებას, რომლის წვლილი სახელმწიფო გეგმის შესრულებაში 60 პროცენტს აღწევს. გაუმჯობესდა სამმართველოს ფინანსური მდგომარეობა, გასულ წელს თვრამეტი სახეობიდან გეგმა შესრულდა 10 სახეობაში.

ბიურომ მკაცრი შეფასება მისცა მშრომელთა მომსახურების ამ სერიოზულ სფეროში არსებულ ნაკლოვანებებს.

სამმართველოს პარტიული ორგანიზაციისა და ადმინისტრაციის საქმიანობა ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს. მომსახურების სისტემაში ადგილი აქვს შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის დარღვევებს, მომსახურების დაბალი კულტურის ფაქტებს. არ ხორციელდება ქმედითი ღონისძიებები სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის. რაიონის 57 სოფლიდან საყოფაცხოვრებო მომსახურების გარეშეა დარჩენილი 15 სოფელი. მიმდინარე წელს სამინისტროს მიერ რაიონის ტერიტორიაზე დაგეგმილი არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიმე ობიექტის მშენებლობა.

სერიოზული ხარვეზებია სისტემის კადრებით დაკომპლექტებაში, მათი აღზრდისა და განაწილების თვალსაზრისით. სამმართველოს ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო რაიონის სოფლებში გამსვლელი ბრიგადებისა და კომპლექსური მიმღები პუნქტების მოწყობა.

გასული წელი სამმართველომ 4,0 ათასი მანეთის წაგებით დაამთავრა. არ იზრდება მშრომელთა მომსახურების დონე. აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაცია სათანადო დონეზე ვერ წარმართავს პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ საქმიანობას, ითქვა, რომ სამმართველო ამოფარებულია კოოპერატივებს და მათ მიერ გეგმების შესრულების მაჩვენებლებს.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიება მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

# მშრომელთა ინტერესების გათვალისწინებით

**ბიურომ განიხილა საკითხი — რაიონის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების, სისტემაში წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების მიზნით რაიკოოპერატივის გამგეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.**

აღინიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში სტაბილური ხასიათი მიეცა გეგმების შესრულებას. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის. სოფელ ცხუკუშერში დამთავრდა მაღაზიის მშენებლობა. მიუხედავად ფინანსური სიძნელეებისა, გრძელდება ორბელის სავაჭრო ქსელის მშენებლობა. მიმდინარე და კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა სისტემის 18 ობიექტს.

გაუმჯობესდა კადრებთან მუშაობა. პენსიონერთა ადგილები დაიკავეს ახალგაზრდებმა. პარტიული ორგანიზაცია და გამგეობა უფრო ოპერატიულად რეაგირებენ სხვადასხვა დარღვევებზე. შარშან სარევიზიო-საკონტროლო შემოწმება ჩაუტარდა 246 ობიექტს. სხვადასხვა დარღვევებისათვის 5 მუშაკი განთავისუფლდა სამუშაოდან, ორი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, 145 მუშაკი დაისაჯა ადმინისტრაციული წესით.

ამასთან აღინიშნა, რომ რაიკოოპერატივის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, გამგეობა ვერ გარდაქმნიან თავიანთ საქმიანობას მოთხოვნათა დონეზე. პარტბიუროს სხდომები მოვალეობის მიზნით ტარდება და არავითარი კონტროლი არ ეწევა მიღებული დადგენილებების შესრულებას. დაბალია მომთხოვნელობა ქსელში სათანადო წესრიგის დამყარებაზე. ხშირია შემთხვევა, როცა სავაჭრო და საზკვების ობიექტები გამოკეტილია. მარტო 1989 წელს გამოვლინდა საქონლის გადამალვის, მყიდველთა მოტყუების, სახელმწიფო ქონების დატაცების 85 შემთხვევა, მათ შორის ლვიჩიშის ღელის რესტორანში, ქალაქის ცენტრალურ უნივერმაღში, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასადილოში, წიფერჩის, ჭალისთავის, ქვედა ცაგერის ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის მაღაზიებში.

იმის გამო, რომ შესუსტდა სარევიზიო-საკონტროლო სამსახურის მუშაობა, ბოლო ორ წელიწადში სახელმწიფო ქონების მითვის[illegible] ლიანი [illegible] ხვის [illegible] ადგილი აქვს ქსელში შეუსწავლელი კადრების დასაქმებას. ამან განაპირობა, რომ ქორენიშის მაღაზიაში მოხდა ათი ათას მანეთზე მეტი სახელმწიფო ქონების დატაცება. ამავე რაოდენობის გაფლანგვა იქნა გამოვლენილი ორხვის სასოფლო მაღაზიაში.

სავაჭრო ობიექტებში განსაკუთრებული ყურადღება არ ეთმობა სახანძრო წესების დაცვას. მოუწესრიგებელია ელექტრომეურნეობა, რამაც გამოიწვია ნაკურალეშისა და დეხვირის სასოფლო მაღაზიების დაწვა, ზარალმა 74 ათას მანეთს მიაღწია.

სერიოზული ნაკლოვანებებია საზკვების ობიექტებში. კვლავ ადგილი აქვს უფაქტურო საქონლით ვაჭრობას. ძალზე დაბალია სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგი. ობიექტების უმრავლესობაში მუშაობს შეუფერებელი კადრები.

ნაკლოვანებებია პურკომბინატის დირექციის საქმიანობაში. სუსტია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ირღვევა სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმი. რაიონის 8 სოფელი ვერ მარაგდება პურით, ცუდია პურის ხარისხი.

სფეროს საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით ბიურომ დასახა სათანადო ღონისძიება.

რაიკომის ბიუროს სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილებანი რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა საკითხებზე.

## ახალი წელი, ახალ კონკრეტულ საქმეთა წელი

# გზა — ჩვენი სასიცოცხლო არტერია

ცაგერის საგზაო სამმართველოს მუშაკებს კარგად აქვთ შეგნებული თავიანთი მოვალეობა — წესრიგში იყოს რაიონის გზები — ჩვენი სასიცოცხლო არტერიები. შარშან სამმართველოს საქმიანობა ძირითადად მიმართული იყო შიდასასოფლო გზების დაპროექტებისაკენ, ვინაიდან ამჟამად ექსპლოატირებადი გზების 80 პროცენტს არ გააჩნია აუცილებელი პარამეტრები (ქანობები, სანიაღვრე არხები, წყალგამტარი მილები და სხვ). ახეთი გზები ძლიერი წვიმებისა და ღვარცოფის შემდეგ უვარგისდება, რაც არ უნდა კარგად იყოს შეკეთებული. ამიტომ შარშან გამოყოფილი თანხები ძირითადად მშენებარე ობიექტებს მოვახმარეთ. დაიწყო და 1990 წლის მესამე კვარტალში დამთავრდება ლაძგვერია-ოფიტარის, კვერეშულა-ზუბის, ცაგერი-გვესოს გზების მონაკვეთთა მშენებლობა.

შარშანვე ჩვენი მოთხოვნით დაპროექტდა ორბელი-დაშიჯალის, ალპანა-ხაირმის, მახაშისანორჩის, ლვირიში-ნასპერის, ჩხუტელი-ლასხანის, ალვის ხიდისა და გზების მშენებლობები, რომლებიც დაიწყება წელს, შესაბამისი ამინდების დადგომისთანავე. ამჟამად მიმდინარეობს კიდევ რამდენიმე პროექტის დამუშავება.

სამმართველო 1989 წლის აპრილიდან გადავიდა შრომის ორგანიზაციის იჯარულ მეთოდზე, რამაც განაპირობა როგორც ტექნიკური პერსონალის, ისე მუშების დიდი დაინტერესება საბოლოო შედეგით. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა მოსამსახურეთა ხელფასი. დღეისათვის სამუშაოთა მწარმოებლის საშუალო თვიური ხელფასი 400 მანეთია. წარმატებებს ხელი შეუწყო იმანაც, რომ შევიძინეთ მანქანა-მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც გაუმჯობესდა საწარმოო პროცესი. იმისათვის, რომ ორგანიზაციამ შეძლოს რაიონის საგზაო მეურნეობაში არსებული ყველა პრობლემის წარმატებით გადაჭრა, განზრახული გვაქვს კიდევ შევიძინოთ ტექნიკა. მაგრამ ყოველ საქმეში მთავარი მაინც ადამიანები არიან, მათი შრომითი თავდადება, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებაა წინსვლის წინაპირობა. უბნის უფროსები ა. ჩხეტიანი, დ. გვიშიანი, რ. დავითულიანი, ჯ. გაბისონია, მექანიზატორები შალვა მამარდაშვილი, თენგიზ ხაბულიანი, ანტონ ახვლედიანი, რეზო სალინაძე, გოგი ბენდელიანი და სხვები სამაგალითოდ ირჯებიან და თავიანთი შრომითი წვლილი შეაქვთ ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

შარშან სამმართველოს შრომითი კოლექტივის საბჭომ ასეთი კარგი ინიციატივა წამოიწყო — მიღებული ეკონომიის ხარჯზე წლეულს გაიყვანოს ცხაკურინაკურალეში-ხვამლის გზა, რომლის პირველი ეტაპი ყამიროვანი იქნება, ვეცდებით გზის მშენებლობა დავასრულოთ „ხვამლობის" დღესასწაულის შესახვედრად.

შარშან რამდენიმე უბანი (ორხვის, ტვიშის, ნაკურალეშის) უყურადღებოდ დაგვრჩა. ვერ შევასრულეთ აგრეთვე ნასპერელი მშრომელებისათვის მიცემული პირობა გზის აშენების შესახებ. მართალია, გზის მშენებლობა დავიწყეთ, მაგრამ იგი გეგმაში არ იყო და სათანადო დაფინანსების უქონლობის გამო იძულებული გავხდით შევვეწყვიტა. ამ გზის მშენებლობასაც წელს დავამთავრებთ. ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ რაიონის გზები წესრიგში იყოს და მაქსიმალურად მოემსახუროს მშრომელებს.

**ა. კიზირია,**

საგზაო სამმართველოს უფროსის მოადგილე, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ საქართველოს დემოგრაფიულ ფონდში.

## გულნატკენი კაცის წერილები

### რატომ გაძნელდა?

ჩვენი გაზეთის გასული წლის 10 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა კორესპონდენცია სათაურით — „ყურადღება მათაც სჭირდებათ".

მოწოდებულ ორგანიზაციას (იქნებ არც წაუკითხავთ) შევახსენებთ, რომ წერილში ლაპარაკი იყო რაიონში მცხოვრები შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის მომსახურების გაუმჯობესების შესახებ. თუ იმ წერილში პურკომბინატის მისამართით კმაყოფილებას გამოვხატავდით, 20-21 იანვარს ისეთი პური შემოგვთავაზეს, სამშენებლო რიყის ქვას უფრო ჰგავდა, ვიდრე საჭმელს. ვაჭრობის მუშაკებმა აგვისტოდან დღემდე სასურსათო მაღაზიაში ერთხელაც არ შემოიტანეს დიაბეტიანებისთვის სპეციალური შაქარი და სხვა საკონდიტრო ნაწარმი.

რატომ გაძნელდა?

### რა დაამავეს?

სამწუხაროდ, მომრავლდა შაოსანი ქალები. მათ თავიანთი დარდიც ეყოფათ და კიდევ საფიქრალის მომატება რაში სჭირდებათ.

საქმე იმაშია, რომ ჩვენს სავაჭრო ქსელში სამამულო წარმოების ფერადი ტანსაცმელი კი იშოვება, მაგრამ შავ კაბებსა და ხალათებს, წინდებს ვერ შეხვდებით. იქნებ ზოგიერთმა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამკერვალო საამქროში წასვლა ურჩიოთ, მაგრამ იქიდანაც ხელცარიელნი ბრუნდებიან — შავი ნაჭერი არა გვაქვსო.

იქნებ ურჩიოთ, როგორ მოიქცნენ?

### უარით გვისტუმრებენ

ყოველდღიური საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი, რის გამოც ვწერთ, ჩვენი მრეწველობისათვის არც თუ ძნელად გამოსაშვებია, მაგრამ ბევრ წვრილმანს, რაც მოსახლეობას სჭირდება, ჩანს, რატომღაც მეორე ხარისხოვნად თვლიან, აბა, სხვა რა უნდა დაარქვა იმას, რომ ორი თეფა საკერავი თეთრი და შავი ძაფი ქსელში არ იშოვება.

ვფიქრობ, ჩემი ნათქვამი მხოლოდ ერთი კაცის ინტერესებს არ გამოხატავს და მისი მოგვარებაც ძნელი არ უნდა იყოს, ოღონდ საჭიროა მეტი დაინტერესება მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნებისადმი.

**მომხმარებელი.**

# სიმშვიდე და წესრიგი მთავარია

თითოეული ჩვენთაგანი კარგად ვხედავთ რა დაძაბული მდგომარეობაა როგორც მთლიანად კავშირში, ასევე ჩვენს რესპუბლიკაში. მკვეთრად გაიზარდა სისხლის სამართლის დანაშაული. სულ უფრო მეტად იჩენს თავს სხვადასხვა ფორმის უკანონობა. შარშან მომხდარი მძიმე დანაშაულობების 25 პროცენტი მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი მიმართული დანაშაული იყო.

მინდა გავაანალიზო ჩვენს რაიონში არსებული მდგომარეობა. როგორ ვფიქრობთ მის გაუმჯობესებას, რას დავაკელით ხელი და რა დახმარება გვჭირდება.

ჩვენთანაც ზრდის ტენდენციით აღინიშნა მომხდარი დანაშაულობანი. განვლილ 1989 წელს რეგისტრირებულ იქნა 34 დანაშაული, რაც ერთი ერთეულით მეტია 1988 წელთან შედარებით. მთლიანად მომხდარი დანაშაულის 35 პროცენტი, ანუ 12 ერთეული შეადგინა სისხლის სამართლის დანაშაულმა. ერთი ერთეულით გაიზარდა განზრახ მძიმე დაზიანება და ხულიგნობა, 2 ერთეულით მოქალაქეთა ქონების ქურდობა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება ასევე სოციალური საკუთრების დატაცება და სპეკულაცია.

სახელმწიფო ქონების დატაცების ექვსი ფაქტი იქნა გამოვლენილი, რაც 3 ერთეულით მეტია 1988 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. გამოვლენილი იქნა სპეკულაციის 1, მომხმარებელთა მოტყუების 8 და სხვა ასეთი კატეგორიის დანაშაულობანი. არ მომხდარა ისეთი მძიმე დანაშაულობები, როგორიცაა მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, გაუპატიურება და სხვ.

როგორც ვხედავთ, დანაშაულობანი არც ისე დიდი რაოდენობით არის გაზრდილი, მაგრამ რაც არის, გარკვეულწილად განაპირობა ქვეყანასა და რესპუბლიკაში შექმნილმა მდგომარეობამ.

მაშინ, როცა აფხაზეთში გართულდა ვითარება, მილიციის მუშაკები თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მივლინებული იქნენ აფხაზეთში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში ჩვენც შევასუსტეთ მუშაობა შექმნილი ვითარებისა და სხვადასხვა მიზეზთა გამო. ვერ ვიღებთ გადამჭრელ ზომებს, თანამშრომლები, რომლებიც ვალდებული არიან გაატარონ ქმედითი ღონისძიებები დანაშაულის ჩანასახშივე, ზოგ შემთხვევაში პასიურ პოზიციას იკავებენ. დანაშაულთა გარკვეული ნაწილი სიმთვრალეშია ჩადენილი, რაც მიუთითებს ლოთობა-ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებაზე, მაგრამ ამ საქმეში არც სასოფლო საბჭოებისა და აქტივის დახმარება იგრძნობა.

საერთოდ, დისციპლინის შესუსტება იგრძნობა რაიონის თითქმის ყველა წარმოება-დაწესებულებაში, რაზეც მიგვანიშნებს ის, რომ სამუშაო საათებში ხშირად შევხვდებით მოსამსახურეებს ქუჩებში, რომლებიც აგვარებენ პირად საქმეებს. ვფიქრობთ, რომ ყველა ხელმძღვანელმა უნდა იზრუნოს თავის კოლექტივში დისციპლინის განმტკიცების, შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის.

მინდა შევეხო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მილიციისა და საზოგადოების კავშირს. გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ამ ხაზით არაფერი კეთდება. ასე, მაგალითად, რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა სახალხო რაზმელთა მორიგეობის გრაფიკი. აღნიშნული გაეცნო წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, შედეგი კი ასეთია — ვერც ერთ რაზმელს ვერ შევხვდებით ქუჩებში, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში, ფაქტიურად არც ერთი ორგანიზაცია არ მორიგეობს.

ანალოგიური მდგომარეობაა რაიგანყოფილებაში ავტომანქანების მორიგეობის საქმეშიც. წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები უგულებელყოფენ აღმასკომის გადაწყვეტილებას და არ აცხადებენ მათ. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო, მაშინ, როდესაც რაიგანყოფილებას საშტატო ერთეულით ისედაც მცირე განათვალზე ნაკლები ავტომანქანა ჰყავს, არადა ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორი ყურადღება დაუთმო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობამ შინაგან საქმეთა ორგანოების ტექნიკურად აღჭურვის საკითხებს. აღნიშნულზეც არა ერთხელ გავამახვილეთ ყურადღება, მაგრამ მდგომარეობა კვლავ უცვლელია. ძალიან გვიშლის ხელს მუშაობაში და განსაკუთრებით ღამის საათებში ის, რომ არავითარი კავშირი არ გაგვაჩნია ისეთ რეგიონებთან, როგორიცაა ორბელი, ტვიში, ოყურეში, არაფერს ვამბობთ სხვებზე.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო ჩვენი მუშაობის ისეთ შრომატევად საკითხს, როგორიცაა მეზობლური დავების მოგვარება. ჩვენს მიერ მოგვარებული იქნა ასეთი 35 დავის საკითხი, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია ასეთ საკითხებში უფრო ქმედითი დახმარება გაგვიწიონ სასოფლო საბჭოებმა, დეპუტატებმა, რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულმა კომისიამ.

აქვე მინდა გითხრათ აუცილებელ საკითხზე, როგორიცაა პატიმრობიდან დაბრუნებულ პირებთან მუშაობა. აღნიშნულში ჩვენ გაგვაჩნია სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები.

მძიმე, ექსტრემალური სიტუაციაა ქვეყანაში და რესპუბლიკაში. ნორმალური ცხოვრების რიტმისათვის სიმშვიდე და წესრიგია საჭირო. ამიტომ მე მოვუწოდებ რაიონის ყველა მშრომელს, გამოვიჩინოთ გონიერება, ორგანიზებულობა, მივხედოთ ჩვენს საქმე-საკეთებელს, არ წამოვეგოთ პროვოკაციაზე, დღეს როგორც არასდროს, ისე უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, ერთმანეთის სიცოცხლეს, ერთად, ურთიერთნდობით, ურთიერთპატივისცემით, მხოლოდ შრომით, კეთილსინდისიერი შრომით შევქმნათ საქართველოს უკეთესი ხვალინდელი დღე. შინაგან საქმეთა რაიგანყოფილება კი თქვენთან ერთად ყველაფერს გააკეთებს საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის.

**ნ. ზამთარაძე,**

**შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი.**





რეზო გოგიძე (სურათზე) გამოცდილი და საქმის ერთგული მექანიზატორია №23 საგზაო სამმართველოში. ძლიერი ტექნიკით მას ყოველთვის შეხვდებით ცაგერი-წყალტუბოს გზის ხან ერთ, ხან მეორე მონაკვეთზე, სადაც კი მიმდინარეობს გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა.

## სასკოლო განათლების კონცეფციის პროექტის შუქზე

# დღევანდელობის აღქმით

გაღვიძებული საქართველოს მოჭირნახულე ერი დამოუკიდებლობისაკენ იკაფავს გზას, რისთვისაც ძალზე საჭიროა ერთგული და თავშეწირული ადამიანები, რამეთუ ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე ყველა ძირეული საქმის აგებამ ლამის ხელიდან გამოგვაცალა ის უწმინდესი რამ, რაც გრაალისებრაა ჩაკირული საქართველოს იმ სიღრმეში, საიდანაც ძნელად იძენს სიცოცხლისუნარიანობას მამოძრავებელი ძარღვი სულის განწმენდის.

ასეთ ფონზე გამაცოცხლებელი მოქმედებისკენაა მიმართული საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციის პროექტი, რომელსაც მაშინ ექნება სრულფასოვანი მნიშვნელობა, თუ დროულად მოვიყვანთ სისრულეში და მივცემთ გზას ცხოვრებაში გატარებისათვის. ეჭვის უფლებას მაძლევს მიღებულ დოკუმენტთა სიმრავლე, რომელთა მეხსიერებაში აღდგენა არც თუ იოლია, მაგრამ საქმე რომ ბევრი არა შეგვრჩა რა, ამის მტკიცება დღეს თეორემას აღარავისთვის წარმოადგენს.

თანამედროვე ცხოვრების დინამიზმი ადამიანის იერსახის შეცვლას საჭიროებს თავისი სრული შესაძლებლობით, აქტიურობით, მგზნებარებით. ასეთი რამ კი ცალმხრივად არასოდეს ვითარდება, მაგრამ ძირითადი რგოლები რომ სკოლაში იყრის თავს, ცხადი და ნათელია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სანუკვარი ოცნების მიღწევისათვის დღევანდელი სკოლა შეუსაბამოა, ამიტომ განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფცია და სასწავლო წლის დასაწყისში გამოქვეყნებული მისი 13 ვარიანტი იქცა განხილვის საგნად. იგი დამუშავდა ალპანის სკოლაშიც.

დღეს კი პრესის ფურცლებზე მოცემულია ერთი მთლიანი პროექტი კონცეფციისა, საკმაოდ დახვეწილი და მომავლის გზის გამკვლევი, თუმცა იგი კვლავ ყურადღებას საჭიროებს სასკოლო ცხოვრების რეალურად მისადაგებისა და პრაქტიკულად განხორციელების თვალსაზრისით.

სასკოლო კონცეფცია დიდ ძალისხმევას, ინტელექტუალურ დაძაბულობას მოითხოვს თითოეული მასწავლებლის მიერ, მაგრამ უკანდასახევი გზა არ არსებობს, რადგან იაფფასოვნობა არასოდესვარგოდა და მითუმეტეს — დღეს.

კონცეფციის პროექტი განხილულ იქნა ალპანის საშუალო სკოლაში 18 იანვარს და გამოითქვა მოსაზრებანი მასწავლებელთა შეხედულებების მიხედვით. ამ ნიშნით წარიმართა იანვრის სექციური მუშაობაც. თუმცა კვლავ ბევრი ახალი აზრი გაგვიჩნდება გზადაგზა, რადგან იგი ღრმად ჩაფიქრებას მოითხოვს.

სასკოლო განათლების კონცეფცია სკოლის სამოქმედო პროგრამაა და მისი განხორციელება ეტაპობრივად მოხდება, დროის ამ [illegible] რთება სასკოლო [illegible] პრობლემებს [illegible], რომლებიც შეიძლება სერიოზულ ბერკეტად აღიმართოს მუშაობის პროცესში.

დღეს ძალზე ხშირად არის ლაპარაკი პოლიტიკური იდეოლოგიის უარყოფაზე სკოლაში. ამ მიმართებით აღნიშნული პროექტი თავისუფალი სკოლის მოდელია, რაც შექმნის საფუძველს მეცნიერული სიღრმის სრულქმნისა და ახალგაზრდობის შემოქმედებით მოაზროვნეებად აღზრდა-ჩამოყალიბებისათვის.

მთავარი მაინც პროგრამებისა და სახელმძღვანელოების დროულად მიწოდებაა, რადგან ლოდინი, ტკივილიანი წუწუნი მასწავლებლებისა ამ მხრივ ტრადიციად იქცა, მაშინ, როცა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე სისტემატურადაა ლაპარაკი და ეს აუცილებელიც არის, სახელმძღვანელოებისა და პროგრამების მოწოდება იმ ხარისხით, სრულად რომ დააკმაყოფილებს სკოლის მოთხოვნილებებს ამ ეტაპზე, პრობლემად არ უნდა იქცეს.

მე, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, მახარებს დედაენის მთელი სიძლიერით შეჭრა საზოგადოების ყველა სფეროში. ამ პროცესს ვხედავთ ყოველდღიურად და რა შედეგი შეგვრჩება ხელთ დროის გავლის შემდეგ, ეს საზოგადოების ყველა წევრის, საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქის აქტიურობასა და შეგნებაზეა დამოკიდებული. მე მჯერა, ენის მამულში დაფუძნება ერთი მნიშვნელოვანი პირობა გახდება სამკვიდროს ხელშეუხებლობის, რაც გადაჯაჭვული იქნება იმ კანონის შემუშავებაზე, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს შესაბამისად შეიქმნება.

დიახ, ქართული ენის სპეციალისტებს საპასუხისმგებლო საზრუნავი გაგვიჩნდა, ჩვენი საგანი უნდა გახდეს საფუძველი ზნემაღალი ადამიანის, ზნეობრივი კულტურის ჩამოყალიბებისა, რაც სტიმულს მისცემს სხვა საგნის მასწავლებლებს მიზანდასახული მოქმედებისათვის.

მისასალმებელია სკოლის მესამე საფეხურის არასავალდებულობა. რატომ უნდა მოცდეს სკოლის მერხზე პასიურად ჯდომით ის ახალგაზრდა, რომელსაც არავითარი სურვილი არ ამოძრავებს მეცნიერების დაუფლებისა, მაშინ, როცა შეუძლია ცხოვრებაში სასიცოცხლოდ სასარგებლო პროფესიის მიღება.

დღევანდელობა ახალი ცხოვრებისაკენ გვეძახის, რის გამოხატულებას პედაგოგისათვის სასკოლო კონცეფციის პროექტი წარმოადგენს. ამიტომ საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ, წარმოვადგინოთ და ჩვენი წვლილიც შევიტანოთ მისი სრულქმნისა და დახვეწის საქმეში.

**ნ. ფრუიძე,**

**ალპანის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფერმა იჯარით აიღეს... მამაკაცებმა

შენგელი სპანდერაშვილს არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი. მას შემდეგ, რაც მან იჯარით აიღო წნორის მეცხოველეობის კომპლექსის ერთ-ერთი ფერმა, მის ცხოვრებაში ბევრი რამ არ შეცვლილა.

—ადრეც აქ ვმუშაობდი, ჩვეული საქმეა,—ამბობს იგი.—რაც შეეხება იმას, რომ მაჩვენებლები უკეთესი გახდა, ეს ჩემი დამსახურება როდია. ადამიანებს დამოუკიდებლობა მისცეს, აღარ უწევს მათ მეურვეობას რაიკომი და აგროსამრეწველო გაერთიანება—და აი, მათაც მეურნის ფხა და გულმოდგინება გამოიჩინეს...

წნორის მეცხოველეობის კომპლექსის დირექციაში არის ასეთი სტატისტიკა: ახლა ფერმაში 14 კაცი უფრო მეტ ხორცს იღებს, ვიდრე წინათ ოცდაათი. მოზარდეულის სადღეღამისო წონამატება 400 გრამიდან 600 გრამამდე გაიზარდა.

როცა სხვა მოიჯარეებს ველაპარაკებოდით—სხვათა შორის, აქ მარტო მამაკაცები მუშაობენ,—ვრწმუნდებოდით, რომ ხალხი გასამრჯელოს კმაყოფილი იყო. როგორც ჩანს, თუ შემდეგშიც ყველაფერი ასე გაგრძელდა, უეჭველად შემცირდება ხორცის თვითღირებულება, რომელიც დღეს მანეთსა და ოთხმოც კაპიკს შეადგენს, კილოგრამი ხორცის საშემსყიდველო ფასი კი ორი მანეთია. და მაშასადამე, გაიზრდება მოიჯარეთა მოგებაც. ამისათვის ბევრი რამ კეთდება. სულ უფრო მექანიზებული ხდება პირუტყვის მოვლის პროცესები. შესაბამისად იზრდება შრომის ნაყოფიერება, გაჩნდება მეცხოველეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესაძლებლობაც, რომლებიც აქ ვახტური მეთოდით მუშაობენ. ეს იძულებითი ღონისძიებაა: მეურნეობა, რომელსაც დაახლოებით 720 ჰექტარი ფართობი უკავია, დასახლებული პუნქტებისაგან მოშორებით მდებარეობს.

დირექტორის კაბინეტში არის დიდი სტენდი, რომელზეც აღნიშნულია, თუ რას მიაღწია იჯარაზე გადასულმა კომპლექსის ექვსივე ბრიგადამ. ყველა ბრიგადა დაგეგმილი მაჩვენებლების დონეზე მუშაობს, რაც წლის დამლევისათვის საშუალებას მისცემთ მიიღონ დაახლოებით 280 ათასი მანეთი მოგება.

(საქინფორმი).



ცაგერის მეტეოსადგურის მუშაკებს კარგად ესმით თავიანთი მოვალეობა—გააკონტროლონ ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა, მოსალოდნელი პროგნოზი, მოამზადონ და გადასცენ ამის შესახებ საჭირო ინფორმაციები.

სურათზე: მეტეოსადგურის უფროსი აზა შკუბულიანი მორიგ დაკვირვებაზე.

ზ. გზოგავას ფოტო.

# მოგზაურობა გიყვართ?

## წყალტუბოს ტურისტულ-საექსკურსიო გაერთიანება გთავაზობთ

წყალტუბოს ტურისტულ—საექსკურსიო გაერთიანება ავიოჯგუფებით 1990 წელს აწყობს მოგზაურობებს შემდეგი მარშრუტებით:

**იანვარი**

ლენინგრადი — 28.01—1.02

**თებერვალი**

1. მოსკოვი — 11.02—17.02
2. ლენინგრადი — 25.02—1.03
3. ვილნიუსი — 25.02—1.03
4. ტაშკენტი — 15.02—21.02

**მარტი**

1. მოსკოვი — 3.03—9.03
2. მოსკოვი — 19.03—25.03

**აპრილი**

1. მოსკოვი — 14.04—20.04
2. ლენინგრადი — 8.04—12.04
3. ტალინი (კოპ). — 24.04—28.04
4. ვილნიუსი — 2.04—6.04

**მაისი**

1. მოსკოვი — 6.05—12.05
2. ვილნიუსი — 28.05—1.06
3. ტაშკენტი — 14.05—20.05

**ივნისი**

1. მოსკოვი — 3.06—9.06
2. ბრესტი — 18.06—22.06
3. ვილნიუსი — 18.06—22.06
4. ტაშკენტი — 13.06—19.06

**ივლისი**

1. მოსკოვი — 22.07—28.07
2. ლენინგრადი — 1.07—5.07

**აგვისტო**

1. მოსკოვი — 27.08—2.09

**სექტემბერი**

1. მოსკოვი — 23.09—29.09
2. ლენინგრადი — 9.09—13.09
3. ვილნიუსი — 24.09—28.09
4. ტაშკენტი — 23.09—29.09

**ოქტომბერი**

1. მოსკოვი — 7.10—13.10
2. ლენინგრადი — 7.10—11.10
3. ტაშკენტი — 21.10—27.10

**ნოემბერი**

1. მოსკოვი — 11.11—17.11
2. ლენინგრადი — 25.11—29.11
3. ტალინი — 30.11—4.12

**დეკემბერი**

1. მოსკოვი — 2.12—8.12
2. მოსკოვი — 23.12—29.12
3. ლენინგრადი — 23.12—27.12
4. ვილნიუსი — 19.12—23.12
5. ტაშკენტი — 20.12—26.12

ამასთან ტურისტული გაერთიანება 3 მარტიდან 16 მარტამდე აწყობს ტურისტული მატარებლით მოგზაურობას მარშრუტით: წყალტუბო —ხარკოვი—მინსკი —ბრესტი —ვილნიუსი —კაუნასი—ფსკოვი—ლენინგრადი—ნოვგოროდი—ლენინგრადი—წყალტუბო.

მიმდინარეობს შეკვეთების მიღება ერთდღიანი, ორდღიანი და მრავალდღიანი ექსკურსიებისა კომფორტაბელური ავტობუსებით რესპუბლიკისა და მის ფარგლებს გარეთ.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ გაერთიანების დირექციას. მისამართი: წყალტუბო, რუსთაველის 39. ტელ: 2-33-87, ან ქ. ცაგერში ლენინის №59

**წყალტუბოს ტურისტულ საექსკურსიო გაერთიანების დირექცია.**



**ციცინო ზეგლარის ასულ ნემსწვერიძეს**
**სოზარ ვალოდიას ძე იმნაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას! დალოცვილი ყოფილიყოს თქვენი ფუძე, შვილთა სიმრავლეს გაეხარებინოს ახლადშექმნილი ოჯახი.

**ნელინე სალინაძე, მედიკო ბენდელიანი—**
**გვესოს დაწყებითი სკოლის მასწავლებლები.**

**რედაქტორის მოადგილე**
**მ. ძნელაძე.**

მეუღლე ნათელა, შვილები თამაზი, ჟორა, რძლები ინეზა, ნანული, შვილიშვილები ზაზა, ზარიმა, ზვიადი, ზიტა, ძმა ჯუმბერი, დები თამარი, ნათელა, სიძეები შალვა ეფაძე, დავით ჩაკვეტაძე, მამიდა სარა, ბიძები სევარიონ, დარისპან, დისშვილები, ძმისშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ალექსანდრე (ბუჭუნა) სამსონის ძე ირემაძე.**

დაკრძალვა 28 იანვარს, კვირას, სოფ. ალვში.

კომუნალურ საწარმოთა კომბინატის, ტექნიკური ბიუროსა და სახლმმართველობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მიმოზა, ანდრო ბურჯალიანებს ბებიის

**ოლღა დავითულიანის**

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ვასილი, შვილები დიმიტრი, ნათელა, ლენა, მედეა, სიძეები გივი სილაგაძე, გივი ჯანელიძე, ვლადიმერ ძნელაძე, შვილიშვილები მალხაზი, თამარი, ლევანი, არჩილი, რობერტი, ლალი, დალი, მადონა, დათო, კახა, ალექსი, ზაზა, და ნინა, მძახლები თამარ ღვინიაშვილი, მარიამ ჯანელიძე, მაზლისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მულისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**პასიკო კოსტას ასული ქაბუკიანი-ახვლედიანი.**

დაკრძალვა 28 იანვარს, კვირას ქ. ცაგერში.

შვილი არდევან გაბიანი, რძალი როზეტა ქვარიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრამიტონ მიქელის ძე გაბიანი.**

დაკრძალვა 27 იანვარს, შაბათს ლენტეხის რაიონის სოფ. შკედში.

დედა გუგული, ძმები თემურ, გოჩა, ბებია საშიკო, რძალი ნინო მარდალეიშვილი, ძმისშვილი სალომე, მამიდა ლილი ობოლაძე, ბიცოლა ციცო ბურჯალიანი, დეიდები თინა, ნანუშა, ეთერი, ბიძები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ალექსანდრე (ალეკო) გურგენის ძე ხუციძე.**

დაკრძალვა 27 იანვარს, შაბათს, სოფ. საირმეში.

შვილები ზინა, ლიდა, ვაჟა ბურჯალიანები, რძლები ეთერ, მიმოზა, სიძეები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოლღა გიორგის ასული დავითულიანი-ლეშკაშელი.**

დაკრძალვა 27 იანვარს, შაბათს, სოფ. ლაჯანაში.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3., განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1 ინდექსი 66539, ტირაჟი 4461

საქართველოს სსრ ბეჭვდითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.